სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა შერჩევის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) და ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის N64/2021 დადგენილებიას საფუძველზე.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები აპლიკანტების შესარჩევად (შემდგომში - „შერჩევა“), თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იქმნება აპლიკანტთა შესარჩევი კომისია (შემდგომში - „კომისია“), რომლის შემადგენლობას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი”) ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

3. საშუალო და საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - „პროგრამა“) აპლიკანტთა შეფასების მეთოდები და ეტაპები განისაზღვრება წინამდებარე წესით.

4. კომისია განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, პროგრამის არანაკლებ ერთი მასწავლებლის, ცენტრის არანაკლებ ერთი წარმომადგენლის (რომელიც ასრულებს კომისიის მდივნის ფუნქცია-მოვალობებს) და პარტნიორი ორგანიზაციის ან/და დარგის ექსპერტის არანაკლებ ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით.

5. კომისიის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 8 წევრს.

6. შესარჩევი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, რომლის შემადგენლობაში უნდა იყოს პარტნიორი ორგანიზაციის არანაკლებ ერთი წარმომადგენელი ან/და არანაკლებ ერთი დარგის ექსპერტი.

7. იმ შემთხვევაში, როცა სხდომაზე ვერ შედგა კვორუმი, კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს სხდომის ჩატარების ახალ თარიღს, რის შესახებაც აპლიკანტებს უნდა ეცნობოთ შეფასების თარიღის დადგომამდე გონივრულ ვადაში.

მუხლი 2. აპლიკანტთა შეფასების მეთოდები და ეტაპები

1. პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა პროგრამაზე გამოცხადებულ ვაკანტური ადგილების რაოდენობას აღემატება 4 ჯერადად, ცენტრი უფლებამოსილია შერჩევის პროცესი ორ ეტაპად წარმართოს: ტესტირება და მოტივაციური გასაუბრება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აპლიკანტთა შერჩევის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს, რომელთაგან თითოთეული იყენებს დიფერენცირებული შეფასების მეთოდებს, კერძოდ:

ა) ტესტი შედგება ღია ან/და დახურული კითხვებისგან და თითეული კითხვის წონა დამოკიდებულია მის შინაარსზე. ტესტირების შედეგები განსაზღვრავს გასაუბრების ეტაპზე გამსვლელ აპლიკანტთა ვინაობას. გასაუბრების ეტაპზე დაიშვება აპლიკანტი, რომელიც წარმატებით გადალახავს ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, რაც შეადგენს ტესტის საერთო ქულათა რაოდენობის 60%-ს.

ბ) გასაუბრება შედგება 6 ბლოკისგან და თითოეული ბლოკი ფასდება 0-4 ქულის ოდენობით (გასაუბრების შეფასების ფორმა იხ. დანართი - ა). გასაუბრების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ჯამური ქულის 25%-ს.
4. ტესტირება ტარდება - ცენტრის ან/და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ.
5. გასაუბრება ტარდება შესარჩევი კომისიების მიერ და მათი მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე წესით.
6. კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ აპლიკანტებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აპლიკანტის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის პრინციპით: ჯამდება კონკრეტული აპლიკანტის გამსაუბრებელი კომისიის მიერ დაწერილი ქულები და იყოფა კომისიის წევრების რაოდენობაზე. კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს თითოეულ აპლიკანტს.
7. კომისიის წევრებმა აპლიკანტების შეფასებისას უნდა იხელმძღვანელონ გასაუბრების სარეკომენდაციო შეფასების სქემით (იხ. დანართი - ბ).
8. თითოეული აპლიკანტისთვის გასაუბრების რეკომენდირებული ხანგრძლივობა შეადგენს არაუმეტეს 15 წუთს.

მუხლი 3. შესარჩევი კომიისის შემადგენლობა და ფუნქცია-მოვალეობები
1. კომისიის თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობები:
ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზაცია ამ წესით დადგენილი რეგლამენტის საფუძველზე;
ბ) კომისიის წევრების შეკრება და აპლიკანტთა შერჩევის ეფექტიანი პროცესის წარმართვა;
გ) შერჩევის პროცესში გამოცხადებული აპლიკანტების აღრიცხვა;
2. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს კომისის ერთ-ერთი წევრი, რომელიც კომისიის იმავე სხდომაზე აირჩევა კომიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.
3. კომისიის მდივანის ფუნქცია-მოვალეობები:
ა) კომისიის წევრების ინფორმირება - შერჩევის პროცესის ჩატარების ფორმატის, დროისა და ადგილის მითითებით შეფასების თარიღის დადგომამდე გონივრული ვადით ადრე;
ბ) კომისიის წევრებისთვის ყველა საჭირო მასალისა და დოკუმენტის მიწოდება;
გ) კომისიის მუშაობის შესახებ ოქმის წარმოება;
დ) კომისიის თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია კომისიის მუშაობასთან.
4. კომისიის სხვა წევრთა ფუნქცია-მოვალეობები:
ა) აპლიკანტთა შერჩევის პროცესში სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა ამ წესით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;
ბ) კომისიის თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება, რომლიც დაკავშირებულია კომისიის მუშაობასთან.
5. კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს მოსთხოვოს პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტ(ებ)ი და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი თუ ის არ იძებნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
6. კომისია უფლებამოსილია აპლიკანტს უთხრას უარი გასაუბრებაზე ან/და დროზე ადრე შეწყვიტოს გასაუბრება:
ა) თუ ვერ ხდება აპლიკანტის იდენტიფიკაცია;
ბ) აპლიკანტი აგვიანებს გასაუბრებაზე არასაპატიო მიზეზით;
გ) აპლიკანტი არ გამოცხადდა დანიშნულ დროს არასაპატიო მიზეზით;
დ) კომისიისთვის შესამჩნევი გახდა, რომ პასუხებს სხვა პირი კარნახობს (დისტანციურად გასაუბრებისას), რაც გაგრძელდა პირველადი გაფრთხილების მიცემის მიუხედავად.
7. მოტივაციური გასაუბრების ეტაპი დახურულია და მასზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ

კომისიის წევრებს, აპლიკანტს და თარჯიმანს (საჭიროების შემთხვევაში).
8. კომისიის წევრებს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ აპლიკანტის მიერ მიღებული ქულები საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

მუხლი 4. შესარჩევი კომიისის მუშაობა

1. შესარჩევი კომისიის მუშაობა წარიმართება პროგრამის განხორციელების მისამართზე ან/და დისტანციურად Covid-19-ით პანდემიით გამოწვეული პირობების გათვალისწინებით.
2. შესარჩევი კომისიის მუშაობის დისტანციურად წარმართვის შემთხვევაში, ცენტრი მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს ონლაინ პლატფორმა „Zoom"-ის გამოყენებით.
3. ცენტრი უზრუნველყოფს გასაუბრების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე აპლიკანტების ინფორმირებას თარიღისა და დროის შესახებ.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცენტრი კომისიას გამოუყოფს ონლაინ პლატფორმა "Zoom"-ის ლიცენზირებულ ანგარიშს გასაუბრების დისტანციურად წარმართვისთვის. კომისია შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით, უზრუნველყოფს ონლაინ შეხვედრების ორგანიზებას და მასში მონაწილეობის ელექტრონულ მონაცემებს აწვდის აპლიკანტებს.
5. აპლიკანტები წინასწარ განსაზღვრულ დროს უნდა გამოცხადნენ გასაუბრებაზე. გასაუბრების ონლაინ ფორმატში წარმართვის შემთხვევაში, აპლიკანტებმა უნდა უზრუნველყონ ვიდეოთვალისა და მიკროფონის უწყვეტი ჩართულობა გასაუბრების მიმდინარეობის პროცესში.
6. კომისიის თავმჯდომარე აპლიკანტებს აცნობს გასაუბრების წარმართვის ზოგად პროცესს, წესებს და თითოეული აპლიკანტისთვის გამოყოფილი დროის ოდენობას.
7. აპლიკანტებისთვის მიწოდებული ინფომაციის შემდეგ იწყება გასაუბრების პროცესი და ყველა აპლიკანტი გადადის მოსაცდელ სივრცეში.
8. კომისიის წევრი უზრუნველყოფს თითოეული აპლიკანტის კომისიის წინაშე ინდივიდუალურად წარდგენას შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით.
9. კომისიის თავმჯდომარე ახდენს აპლიკანტის იდენტიფიცირებას შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტ(ებ)ის საშუალებით.
10. გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე აპლიკანტს აძლევს მითითებას დატოვოს გასაუბრების შესაბამისი სივრცე.
11. გასაუბრების ონლაინ ფორმატში წარმართვის შემთხვევაში, კომისია უზრუნველყოფს პროცესის ჩაწერას კომისიის ოქმის შედგენის მიზნით. ოქმის შედგენის შემდგომ ჩანაწერი დაექვემდებარება განადგურებას.
12. გასაუბრების პროცესის სხვა ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობით ან თანამედროვე ელექტრონული პროგრამით ჩაწერა დაუშვებელია.

მუხლი 5. მოტივაციური გასაუბრების შედეგები

1. კომისია გასაუბრების შედეგად მიღებულ საბოლოო შეფასებას ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც მონაცემები დაგენერირდება თითოეული აპლიკანტის პერსონალურ ანგარიშში.
2. კომისიის მიერ აპლიკანტისთვის მინიჭებული შეფასება არ წარმოადგენს საბოლოო რეიტინგულ ქულას. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის N64/2021 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის IV თავით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება აპლიკანტს შეუძლია გაასაჩივროს სააპელაციო კომისიაში მისი გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

მუხლი 6. აპლიკანტის უფლება-მოვალეობები

1. აპლიკანტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე რეგისტრაციის შესახებ;

ბ) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია ცენტრის უფლებამოსილი პირისაგან შერჩევის პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

გ) გაასაჩივროს მიღებული შედეგ(ებ)ი.

2. აპლიკანტის მოვალეობები:

ა) დაიცვას წინამდება წესის მოთხოვნები;

ბ) გონივრულ ვადაში აცნობოს ცენტრს გასაუბრების პროცესში ხელისშემშლელი პირობების ან/და წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

გასაუბრების შეფასების ფორმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:_____

აპლიკანტი: _____ პ/ნ _____

სახელი და გვარი

1. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
კანდიდატს აქვს რელევანტური განათლება. გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სანდოობისა და რელევანტურობის შეფასება შეუძლია.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს რელევანტური განათლება. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა. პროფესიულ ცნობისმოყვარეობას არ ავლენს.
2. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება						
აპლიკანტი ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი, შესაბამისად, მას არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/აღჭურვილობის შესახებ.
4. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიისძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის ღირებულებები და თვისებები პროფესიასთან თავსებადია. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს ნაფიქრი საკუთარი მახასიათებლების პროფესიასთან შესაბამისობაზე; ინტერვიუს განმავლობაში არ გამოუვლენია პროფესიასთან თავსებადი ღირებულებები; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.

5. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.
6. კომუნიკაციური უნარ-ჩვევები						
ინტერვიუს განმავლობაში აპლიკანტი ავლენს კარგ საკომუნიკაციო უნარებს; მისი საუბრის მანერა არის მკაფიო და დამაჯერებელი; საუბრობს გასაგებად და ამომწურავად აყალიბებს თავის სათქმელს; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ლოგიკური, თანმიმდევრული და კონტექსტს მორგებული. მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, ახერხებს ჟესტიკულაციით, ემოციებითა ან/და წერილობითი ფორმით მოსაუბრესთან კონტაქტს და სათქმელის გადმოცემას – მისი სხეულის ენა ადეკვატურია. კანდიდატი ყურადღებით უსმენს კომისიის წევრებს, ადეკვატურად რეაგირებს კითხვებზე, უთმობს დროს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზებას; უსვამს მათ დამაზუსტებელ კითხვებს საკითხში უკეთ გასარკვევად და არ აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; იქცევა თავაზიანად.	4	3	2	1	0	კანდიდატს უჭირს სათქმელის ჩამოყალიბება; კომისიის წევრებთან ინფორმაციის გაცვლის დროს არის ალოგიკური და დაბნეული, აცდენილია კონტექსტს. მეტყველებასთან დაკავშირებული შეფერხებების შემთხვევაში, ის ვერც ემოციურად, ვერც ჟესტიკულაციითა და ვერც წერილობით ვერ ახერხებს საკუთარი სათქმელის მსმენელისთვის გადაცემას; არ ამყარებს თვალებით კონტაქტს, სხეულის ენა არადამაკმაყოფილებელია. კანდიდატი არ უსმენს კომისიის წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. არის ჩუმად, უსვამს მათ არაადეკვატურ კითხვებს ან აწყვეტინებს საუბარს შეუფერებელ დროს; მისალმება-დამშვიდობების დროს არ იჩენს თავაზიანობას.
მიღებული ქულების ჯამი:						

კომისიის წევრი: _____

სახელი, გვარი

ხელმოწერა: _____ თარიღი: /___//___/202___ წ.

გასაუბრების შეფასების სქემა		
მოტივაციური გასაუბრება		
შესაფასებელი სფერო	ძირითადი კითხვები	დამაზუსტებელი კითხვები და
ბიო მონაცემები		
მიზანი: ინტერვიუს მიმართ აპლიკანტის დადებითი განწყობისა და ნდობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება.	თქვენი სახელი და გვარი?	
	მოგვიყევით თქვენ შესახებ	რას საქმიანობთ ამჟამად?
	თქვენი ასაკი?	საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, დასვათ შეკითხვები ოჯახური მდგომარეობის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
1. პროფესიული ცნობისმოყვარეობა		
მიზანი: ბლოკის მიზანია შეაფასოს რამდენად ცნობისმოყვარეა აპლიკანტი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, რამდენად ისწრაფვის დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და უკვე არსებული კომპეტენციების სრულყოფისკენ.	1. რომელია თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური?	შეგიძლიათ საუბრისას ჩამოუთვალოთ: საბაზო, საშუალო, უმაღლესი და ა. შ.
	2. ყოფილხართ ჩართული ტრენინგების ან გადამზადების აქტივობებში აღნიშნული პროფესიის დაუფლების მიზნით?	აღწერეთ, რა ტიპის აქტივობებზე საუბრობთ? რა ინფორმაცია მიიღეთ პროფესიის შესახებ და რაში გამოგადგათ? საკუთარი ინიციატივით ჩაერთეთ?
	3. რომელი საგნები მოგწონდათ ყველაზე მეტად სკოლაში ან სხვა სასწავლო დაწესებულებაში სწავლისას?	რატომ მოგწონდათ ეს საგნები? კარგად გამოგდიოდათ ის საგნები, რომელიც მოგწონდათ? რომელი საგნების სწავლა გიადვილდებოდათ? რაში დაგეხმარებათ ამ საგნების კარგად ცოდნა ამ პროფესიაში?

	4. გიცდიათ ამ პროფესიის შესახებ ინფორმაციის მოძიება?	ძირითადად რა გზებს მიმართავთ ინფორმაციის მოძიებისთვის? რატომ დაინტერესდით ამ ინფორმაციით? რა ტიპის წყაროს გაეცანით: სტატია, ვიდეო... რამდენად სარწმუნო/სანდო იყო თქვენ მიერ მოძიებული
	5. საიდან გაიგეთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ?	რა ინფორმაციას ფლობთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ?

2. ინფორმაცია პროფესიის		
მიზანი: ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა გამოარკვიოს რამდენად ფლობს აპლიკანტი ინფორმაციას პროფესიის შესახებ და რამდენად სურს ამ პროფესიის შესწავლა.	1. თქვენი აზრით, რა სამუშაოებს ასრულებს ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანი?	თქვენი აზრით, რა მოვალეობები აკისრიათ ამ პროფესიით დასაქმებულ ადამიანებს? რა პროდუქტს/მომსახურებას ქმნიან?
	2. თუ გსმენიათ ამ პროფესიის ადამიანები სად, რომელ ორგანიზაციებში ან სამუშაო ადგილებზე	
	3. თქვენი აზრით, რამდენად მარტივია ან რთულია ამ პროფესიით დასაქმება?	საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?
	4. თქვენი აზრით, როგორია ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაო გარემო?	თქვენ როგორი სამუშაო გარემო მოგწონთ? როგორი არ მოგწონთ?

	5. თქვენი აზრით, რა პრობლემები და სირთულეები ახლავს ამ პროფესიას?	თქვენი აზრით, უშუალოდ სამუშაოს შესრულებისას, რა სირთულეების/გამოწვევების წინაშე დგებიან ამ პროფესიით
	6. თქვენი აზრით, რამდენად ანაზღაურებადია ეს პროფესია?	თქვენი აზრით, საშუალოდ, რა თანხას გამოიმუშავებს, თვეში, ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანი? რამდენად მისაღებია თქვენთვის?
	7. როგორ ფიქრობთ, რამდენად პრესტიჟულია ან არაპრესტიჟულია ეს პროფესია დღეს საქართველოში?	თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
	8. თქვენი აზრით, არსებობს თქვენს რეგიონში ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა?	რომელ ორგანიზაციას გაიხსენებდით თქვენს რეგიონში?
	9. როგორ ფიქრობთ, არსებობს ამ პროფესიით თვითდასაქმების შესაძლებლობა?	თუ განიხილავთ თვითდასაქმებას? რა არის თქვენი გეგმები ამ მიმართულებით?
	10. თქვენი აზრით, რა თეორიული კურსები/მოდულები/საგნები ისწავლება ამ პროგრამაზე?	რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო, უინტერესო?
	11. თქვენი აზრით, რამდენად პერსპექტიულია ეს პროფესია საქართველოში და ზოგადად?	გთხოვთ, იმსჯელოთ ქვეყანაში ამ პროფესიის სამომავლო განვითარების შესახებ?

3. მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება		
მიზანი: ბლოკის მიზანია, ინტერვიუერმა შეაფასოს აქვს თუ არა აპლიკანტს პროფესიასთან დაკავშირებული სამუშაოების	1. აქამდე თუ გქონიათ რაიმენაირი შეხება ამ პროფესიასთან?	რა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო ამ პროცესში? რა გაგიჭირდათ ან გაგიადვილდათ ყველაზე მეტად?

შესრულების გამოცდილება, რაც გამოხატავს პროფესიისადმი მის ინტერესს.	2. შეგისრულებიათ ამ პროფესიისთის დამახასიათებელი ან მსგავსი სამუშაო?	მაგალითად, მებაღეობის შემთხვევაში, დაგირგავთ, გაგისხლავთ, დაგიკალმებიათ და ა.შ.
	3. გამოგიყენებიათ ამ პროფესიისთვის საჭირო იარაღები?	თუ არ გამოგიყენებიათ, იცით, რა სამუშაო იარაღებს იყენებენ ამ პროფესიაში დასაქმებული ადამიანები სამუშაოს შესრულებისას?
	4. როგორ ფიქრობთ, გამოგივათ ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების კარგად შესრულება? რატომ?	გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც შეასრულეთ მსგავსი სამუშაო? რა სამუშაოა ისეთი, რომლის შესრულებასაც არ ისურვებდით ამ პროფესიაში? ან რომელი სამუშაოა ყველაზე საინტერესო თქვენთვის? რატომ არის საინტერესო?
4. პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები		
მიზანი: ბლოკის მიზანია აპლიკანტის ღირებულებებისა და პიროვნული მახასიათებლების პროფესიასთან თავსებადობის/შესაბამისობის გამორკვევა.	1. თქვენი აზრით, რატომ არსებობს ეს პროფესია?	რა სიკეთე მოაქვს ამ პროფესიას საზოგადოებისთვის?
	2. თუ გიფიქრიათ, რა სახის სარგებელს მოუტანს თქვენი პროფესია თემს/სოფელს/ქვეყანას?	
	3. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ამ პროფესიაში დასაქმებული იდეალური მუშაკი?	გთხოვთ, აღწეროთ იდეალური მუშაკის პიროვნული მახასიათებლები და უნარები.
	4. თქვენი პიროვნული მახასიათებლებიდან/თვისებებიდან ყველაზე მეტად რომელი გამოგადგებათ ამ პროფესიაში წარმატების მისაღწევად?	თქვენი აზრით, რა მხარეების განვითარება დაგჭირდებათ ამ პროფესიაში წარმატების მისაღწევად?
	5. რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?	როგორ ფიქრობთ, რატომ ირჩევენ პრესტიჟულ პროფესიებს ადამიანები, ვისთვისაც ეს პროფესიები შესაძლოა არცთუ ისე შესაფერისი

	6. დავალების შესრულება ინდივიდუალურად უფრო კომფორტულია თუ ჯგუფთან ერთად?	თუ გქონიათ აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევა ჯგუფის წევრებთან და როგორ მოიქეცით?
	7. შეცდომის დაშვების შემთხვევაში ხელმძღვანელს გაუმხელდით და მასთან ერთად დასახავდით მოგვარების გზას თუ თავად ეცდებოდით გამოსწორებას და შეეცდებოდით არ გაგემჟღავნებინათ?	გახსენდებათ რამე შემთხვევა თქვენი გამოცდილებიდან?
	8. თქვენი აზრით, რა ზიანი შეიძლება მიადგეს ამ პროფესიით გარემოს? და როგორ შეიძლება ამ ზიანის შემცირება?	თვლით, რომ ყველა კომპანიის საქმიანობაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოზე ზრუნვის კომპონენტი, თუნდაც, ეს მის ეფექტიან მუშაობას აფერხებდეს?
	9. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი ამ პროფესიის განვითარებაში?	
5. პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული		
მიზანი: ბლოკის მიზანია, ინტერვიუერმა გამოარკვიოს რატომ აბარებს აპლიკანტი ამ პროგრამაზე და რა გრძელვადიანი მიზნები აქვს მას.	1. რატომ გსურთ ამ პროფესიის დაუფლება?	რა კონკრეტული გეგმა გაქვთ ამ პროფესიასთან დაკავშირებით?
	2. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გამოიყენოთ მომავალში ეს პროფესია?	
	3. სად და როგორ გეგმავთ პროგრამაზე სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებას?	
	4. სად ხედავთ თქვენს თავს რამდენიმე წლის შემდეგ?	
	5. თვლით, რომ ეს პროფესია კარიერული განვითარების შესაძლებლობას მოგცემთ?	

	6. რომ არა ეს პროფესია, რომელ პროფესიას აირჩევდით და რატომ?	თუ სხვა პროფესიაში უფრო მეტად ხედავთ საკუთარ თავს, რატომ გადაწყვიტეთ ამ პროგრამაზე ჩაბარება?